სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080115784498122

№ 3040

26 / სექტემბერი / 2022 წ.

ამხანაგობა „ამქარის“ შავ სიაში რეგისტრაციის შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“;

ტენდერების ნომრები: NAT190020331 და NAT190020330;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: ამხანაგობა „ამქარი“ (ს/ნ: 205387286);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის 29 ივნისს წარმოდგენილ იქნა სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ 2022 წლის 29 ივნისის № 1751-გ და № 1750-გ წერილობითი შეტყობინებები (რეგისტრაციის №5042 და №5043), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა ამხანაგობა „ამქარის“ (ს/ნ: 205387286) მიერ NAT190020331 და NAT190020330 ელექტრონული ტენდერების საშუალებით დადებული 2020 წლის 20 იანვრის № GOG/ET/CW-226 და № GOG/ET/CW-225 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ ამხანაგობა „ამქარს“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის nino11oniani@gmail.com მეშვეობით, 2022 წლის 5 ივლისის № 2300 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინებების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეებზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

1.3. შემსყიდველმა ორგანიზაციამ სააგენტოს 2022 წლის 28 ივლისის №2528 წერილის პასუხად 2022 წლის 29 ივლისს წარმოადგინა 2022 წლის 29 ივლისის № 2090-გ დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის № 5859) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით.

1.4. შემსყიდველმა ორგანიზაციამ სააგენტოს 2022 წლის 30 აგვისტოს №2843 წერილის პასუხად 2022 წლის 9 სექტემბერს წარმოადგინა 2022 წლის 9 სექტემბრის № 2550-გ დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის №6889) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

2.1. შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელი არაჯეროვნად ასრულებდა 2020 წლის 20 იანვრის №GOG/ET/CW-226 და №GOG/ET/CW-225 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს, რის გამოც შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2022 წლის 9 ივნისის №1560-გ წერილით ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულებები.

2.2. შემსყიდველი ორგანიზაციის დამატებითი ინფორმაციით მიმწოდებელმა სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ პროექტების შეფასების სამსახურის საინჟინრო შეფასების სპეციალისტების აქტიური ჩართულობითა და დახმარებით 2020 წლის 19 ნოემბერს დაასრულა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მომზადება. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაიცა საჯარო სკოლების მშენებლობის ნებართვა, რის საფუძველზეც მიმწოდებელს უნდა დაეწყო სამშენებლო სამუშაოები. სიტუაციის ადგილზე მონიტორინგისა და შესწავლის დროს პროექტის მენეჯერების, ინჟინრის და მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლების მიერ არაერთხელ დაფიქსირდა, რომ მიმწოდებელი არ ახორციელებდა არც სამშენებლო და არც სამობილიზაციო სამუშაოებს, რის გამოც მიმწოდებელს დაევალა განახლებული სამუშაოების შესრულების დეტალური კალენდარული გრაფიკის წარდგენა და ობიექტზე ინტენსიური სამუშაოების დაწყება მდგომარეობის გამოსასწორებლად (წერილი № 3331-გ 19.11.2020 და № 903-გ 31.03.2021). მიუხედავად დაპირებისა და წარდგენილი განახლებული გეგმა-გრაფიკისა, მიმწოდებელს არ დაუწყია სამუშაოები, რის გამოც კიდევ ერთხელ გაეგზავნა გაფრთხილების წერილი № 1276-გ 26/04/2021, რომლითაც მოეთხოვა განეახლებინა ობიექტზე ინტენსიური სამუშაოები, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავდა ხელშეკრულების გათვალისწინებულ სანქციებს.

2.3. შემსყიდველი ორგანიზაცია ასევე განმარტავს, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის მერიისა და ბენეფიციარების მოთხოვნით რამდენჯერმე შეიცვლა საპროექტო დოკუმენტაცია, კერძოდ, სკოლისა და ღია სპორტული მოედნის განლაგება. შემსყიდველი ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ იგი აქტიურად იყო ჩართული ზემოხსენებული პრობლემის მოგვარებაში, თუმცა მისი მოგვარების შემდგომაც მიმწოდებელმა არ დაიწყო სამშენებლო მოედნის მომზადება და პირველი დონის სამუშაოების წარმოება, რის გამოც კიდევ ერთხელ მოსთხოვა განახლებული სამუშაოების შესრულების დეტალური კალენდარული და ფინანსური გრაფიკის წარდგენა და ობიექტზე ინტენსიური სამუშაოების წარმოება, ასევე, გააფრთხილა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ (წერილი №1852-გ 21.06.2021). შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, მიმწოდებელს, მიუხედავად დაპირებისა, ინტენსიური სამშენებლო სამუშაოები არ უწარმოებია. ასევე, მიმწოდებელმა არაერთხელ მოითხოვა სამშენებლო სამუშაოების ვადის გაგრძელება, თუმცა იმის ფონზე, რომ სამუშაოები არ დაწყებულა, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სახელშეკრულებო ვადის გაგრძელება აქტიური სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. შემსყიდველი ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მიმწოდებლის საქმიანობას მონიტორინგს ყოველდღიურ რეჟიმში უწევდნენ როგორც პროექტის მენეჯერი, ისე ზედამხედველობის სამსახურის ინჟინერი, საჯარო სკოლის დირექტორები და მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები და მათ მიერ არაერთხელ დაფიქსირდა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა. შემსყიდველი ორგანიზაცია ასევე განმარტავს, რომ 2021 წლის 2 აგვისტოს წერილით მიმწოდებელს მოუწოდა ინტენსიური სამუშაოების დაწყება და გააფრთხილა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ (წერილი № 2267-გ 02/08/2021). შემსყიდველი ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ სამუშაოების შესრულების ვადა ამოიწურა 2021 წლის 4 აგვისტოს და მიმწოდებელს მას დღეის მდგომარეობით შესრულებული აქვს მხოლოდ სამუშაოების 3,5%, ასევე, მიმწოდებელმა 2022 წლის 25 თებერვლის წერილით მას წარუდგინა განახლებული კალენდარული და ფინანსური გეგმა-გრაფიკი და სამუშაოების განახლების ვალდებულება აიღო 2022 წლის 1 მაისიდან, თუმცა 2022 წლის 19 მაისს გეგმიური მონიტორინგის მიზნით სამშენებლო ტერიტორიებზე იმყოფებოდნენ სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ მშენებლობის ზედამხედველობის დეპარტამენტის ინჟინერები, რა დროსაც სიტუაცია იყო უცვლელი და ორივე ობიექტზე სამშენებლო სამუშაოები სრულად იყო გაჩერებული.

3. მიმწოდებლის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2020 წლის 20 იანვარს, NAT190020331 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ამხანაგობა „ამქარს“ (ს/ნ: 205387286) შორის დაიდო №GOG/ET/CW-226 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს უნდა განეხორციელებინა ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით მესტიის მუნიციპალიტეტში სოფელ ყარსგურიშში 150 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის შენობის დეტალური პროექტის მომზადებისა და აღნიშნული პროექტისა და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად სამშენებლო სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 2 198 338,29 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2023 წლის 31 დეკემბერი.

4.2. სატენდერო დოკუმენტაციის 1.4. პუნქტისა და ხელშეკრულების 4.2.2. პუნქტის თანახმად, მიმწოდებელს სამუშაოები უნდა ეწარმოებინა შეთანხმებული პროექტისა და შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

4.3. № GOG/ET/CW-226 ხელშეკრულების 4.2.1. პუნქტის თანახმად, მიმწოდებელს სამუშაოები უნდა შეესრულებინა ხელშეკრულების გაფორმებიდან 17 თვის ვადაში, მათ შორის, საპროექტო სამუშაოები – ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 თვის ვადაში.

4.4. 2020 წლის 20 იანვარს, NAT190020330 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ამხანაგობა „ამქარს“ (ს/ნ: 205387286) შორის დაიდო №GOG/ET/CW-225 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს უნდა განეხორციელებინა ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით მესტიის მუნიციპალიტეტში სოფელ ჭუბერში150 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის შენობის დეტალური პროექტის მომზადებისა და აღნიშნული პროექტისა და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად სამშენებლო სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 2 158 817,58 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2023 წლის 31 დეკემბერი.

4.5. სატენდერო დოკუმენტაციის 1.4. პუნქტისა და ხელშეკრულების 4.2.2. პუნქტის თანახმად, მიმწოდებელს სამუშაოები უნდა ეწარმოებინა შეთანხმებული პროექტისა და შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

4.6. № GOG/ET/CW-225 ხელშეკრულების 4.2.1. პუნქტის თანახმად, მიმწოდებელს სამუშაოები უნდა შეესრულებინა ხელშეკრულების გაფორმებიდან 17 თვის ვადაში, მათ შორის, საპროექტო სამუშაოები – ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 თვის ვადაში.

4.7. №GOG/ET/CW-226 და №GOG/ET/CW-225 ხელშეკრულებების ფარგლებში მხარეთა შორის გაფორმებული 2020 წლის 16 სექტემბრის შეთანხმებებით, კორონავირუსის პანდემიის აღკვეთის მიზნით დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით, სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა 2021 წლის 4 აგვისტო.

4.8. მიმწოდებელმა 2020 წლის 22 ოქტომბრის №2243/11 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარსგურიშში საჯარო სკოლის საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული იყო ღია სპორტული მოედნის მშენებლობა, რასაც ხელს უშლიდა არსებული ძველი სკოლის შენობა. იმის გათვალისწინებით, რომ ძველი სკოლის დემონტაჟი აღარ იყო დაგეგმილი, პრობლემის ქვეშ დგებოდა ღია სპორტული მოედნის მშენებლობის საკითხი. მოცემული წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას მიმართა გადაეჭრა აღნიშნული საკითხი და მიეცა შესაბამისი მითითებები.

4.9. მიმწოდებელმა 2020 წლის 28 ნოემბრის №2343/12 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარსგურიშში საჯარო სკოლის მშენებლობისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთები იყო სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში, რის გამოც გადაწყდა, რომ მშენებლობა განხორციელდებოდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. ამასთან, ყარსგურიშში საჯარო სკოლის საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული იყო ღია სპორტული მოედნის მშენებლობა, რასაც ხელს უშლიდა არსებული ძველი სკოლის შენობა, რომლის დემონტაჟიც აღარ იყო დაგეგმილი, რაც, თავის მხრივ, პრობლემის ქვეშ აყენებდა ღია სპორტული მოედნის მშენებლობის საკითხს, რომლის გადაწყვეტამდეც იგი ვერ დაიწყებდა სამშენებლო სამუშაოებს. ამავე წერილით, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას ასევე აცნობა, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭუბერში საჯარო სკოლის მშენებლობისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე 2020 წლის 28 ნოემბერს შეიყვანა ტექნიკა, რათა მომხდარიყო მიწის ნაკვეთის დაკვალვა და დაეწყო მიწის სამუშაოები, რა დროსაც ჭუბერის სკოლის დირექტორმა მოსახლეობასთან ერთად განუცხადა რომ აღნიშნული ტერიტორიაზე სკოლის აშენება არ შეიძლებოდა, ვინაიდან იგი გამოიყენებოდა აეროპორტისთვის, მიმწოდებელს მოსთხოვა მშენებლობა დაეწყო აღნიშნული ტერიტორიიდან 100 მეტრის მოშორებით, მაშინ, როდესაც სკოლის ასაშენებლად ადგილის შერჩევის პროცესში მონაწილეობას იღებდნენ სკოლის დირექტორი და მოსახლეობა. მოცემული გარემოებიდან გამომდინარე, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ ვერ ახორციელებდა სამშენებლო სამუშაოებს და სთხოვდა დროულად განეხორციელებინა რეაგირება და მიეცა სამოქმედო მითითებები.

4.10. მიმწოდებელმა 2020 წლის 14 დეკემბრის №2346/12 და 2021 წლის 18 იანვრის №2347/12 წერილებით შემსყიდველ ორგანიზაციას განმეორებით მიაწოდა ინფორმაცია 2020 წლის 28 ნოემბრის №2343/12 წერილში მითითებული სამუშაოების ხელისშემშლელი გარემოებების თაობაზე, ასევე აცნობა, რომ 2020 წლის 25 ნოემბრის შემდეგ სვანეთის რეგიონში ამინდის გაუარესების გამო შეუძლებელი გახდა მიწის და ფუნდამენტის სამუშაოების წარმოება, ასევე, 2020 წლის 20 ნოემბრიდან მესტიის მუნიციპალიტეტში დაიხურა ყველა ბეტონის ქარხანა, რამაც შეუძლებელი გახადა სამშენებლო სამუშაოების გაგრძელება. მოცემულ გარემოებებს დაერთო კორონავირუსის პანდემია, რის გამოც ბევრი ორგანიზაცია გადასული იყო დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. აღნიშნული წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას მიმართა დროულად დახმარებოდა ხელისშემშლელი გარემოებების მოგვარებაში და აცნობა, რომ კლიმატური პირობების გამო სამუშაოებს განაახლებდა 2021 წლის მარტის ბოლოდან ან აპრილის დასაწყისიდან და მოცემული იძულებითი მოცდენის პერიოდი ჩაეთვალა საპატიოდ. ამავე წერილებით შემსყიდველ ორგანიზაციას ეთხოვა ხელშემშლელ გარემოებებზე რეაგირების მოხდება.

4.11. მიმწოდებელმა 2021 წლის 25 მარტის №2349/12 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას კიდევ ერთხელ მიაწოდა ინფორმაცია 2020 წლის 28 ნოემბრის №2343/12, 2020 წლის 14 დეკემბრის №2346/12 და 2021 წლის 18 იანვრის №2347/12 წერილებში მითითებული სამუშაოების შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ, რასაც ასევე დაერთო საწვავსა და სამშენებლო მასალებზე ფასების ზრდა. აღნიშნული წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას ასევე აცნობა, რომ მოცემული გარემოებების გამო, მისგან დამოუკიდებელი მიზეზით, დარღვეული იყო სამუშაოების შესრულების ვადა და მიმართა მისი 2022 წლის აგვისტოს ბოლომდე გაგრძელების შესახებ.

4.12. მიმწოდებელმა 2021 წლის 26 მარტის № 2350/12 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ სოფელ ყარსგურიშში საჯარო სკოლის საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული იყო ღია სპორტული მოედნის მშენებლობა, რასაც ხელს უშლიდა არსებული ძველი სკოლის შენობა. იმის გათვალისწინებით, რომ ძველი სკოლის დემონტაჟი აღარ იყო დაგეგმილი, პრობლემის ქვეშ დგებოდა ღია სპორტული მოედნის მშენებლობის საკითხი. მოცემული წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას მიმართა მიეცა მითითება სად მოეწყო ღია სპორტული მოედანი ან ტრენაჟორები, რათა შეძლებოდა სამშენებლო სამუშაოების დაწყება და აცნობა, რომ თანხმობის მიღების შემდეგ წარუდგენდა სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკს.

4.13. მიმწოდებელმა 2021 წლის 26 მარტის № 2351/12 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინა ორივე სკოლის სამუშაოების შესრულების დეტალური გეგმა-გრაფიკები და აცნობა, რომ ელოდებოდა მის თანხმობას ყარსგურიშის საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების დასაწყებად ღია სპორტული მოედნის ადგილმდებარეობის დაზუსტების გარეშე.

4.14. მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2021 წლის 31 მარტის № 903-გ წერილით ეცნობა, რომ მიუხედავად უკვე დაკორექტირებული პროექტისა, ობიექტებზე სამუშაოები იმ დრომდე ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული. იმავე წერილის თანახმად, ჭუბერის სკოლის თაობაზე ყველა დეტალი იყო შეთანხმებული, ხოლო ყარსგურის სკოლის ღია სპორტული მოედნის თაობაზე, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციისთვის იყო ცნობილი, სკოლის დემონტაჟის გარეშეც შეიძლებოდა მინი სტადიონის მოწყობა, თუმცა არა იმ ზომების დაცვით, რაც გათვალისწინებული იყო ტექნიკური დავალებით. იმავე წერილით მიმწოდებელს ეთხოვა პროექტისა და გეგმა-გრაფიკის წარმოდგენა და სამუშაოების დაწყება არაუგვიანეს აპრილისა.

4.15. მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2021 წლის 26 აპრილის № 1276-გ წერილით ეთხოვა კალენდარული გეგმა-გრაფიკის წარდგენა და 2021 წლის 28 აპრილიდან სამუშაოების ინტენსიურად წარმოება.

4.16. მიმწოდებელის 2021 წლის 7 მაისის №2354/12 წერილით ირკვევა, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის 2021 წლის 31 მარტის № 903-გ წერილის გათვალისწინებით, საჭირო გახდა ცვლილებების შეტანა ყარსგურიშის საჯარო სკოლის საპროექტო დოკუმენტაციაში და საპროექტო სტადიონის გაბარიტების შემცირება და ადგილმდებარეობის შეცვლა. ამავე წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ უახლოეს დღეებში დაიწყებდა სამშენებლო სამუშაოებს.

4.17. მიმწოდებელმა 2021 წლის 21 მაისის № 2355/12 წერილით ირკვევა, რომ ყარსგურიშის საჯარო სკოლის საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანის, კერძოდ, საპროექტო სტადიონის გაბარიტების შემცირებისა და ადგილმდებარეობის შეცვლის, შემდეგ 2021 წლის 19 მაისს ადგილზე გადაამოწმა პროექტის არქიტექტურული და საინჟინრო ნაწილი, რათა დაეწყო ქვაბულის სამუშაოების ნაწილი, რა დროსაც გაირკვა, რომ ასაშენებელი სკოლის უკანა კედელი ხვდებოდა ხევის პირას არსებული ასწლოვანი ხეების ადგილზე, რის გამოც საჭირო გახდა შენობის გადაწევა 3 მეტრით. ამასთან, ჭუბერში ასაშენებელი სკოლის პროექტმა განიცადა ცვლილება, 2021 წლის 20 მაისს ადგილზე გადამოწმებისას გაირკვა, რომ ასაშენებელი შენობა ხვდებოდა საბავშვო ბაღის შესასვლელ გზაზე და შემსყიდველ ორგანიზაციასთან შეთანხმებით საჭირო იყო ასაშენებელი შენობის გადაწევა 4 მეტრით. ამავე წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ უმოკლეს ვადაში დააკორექტირებდა ჭუბერისა და ყარსგურიშის სკოლების პროექტების საინჟინრო და არქიტექტურულ ნაწილს და მასთან შეთანხმების შემდეგ დაიწყებდა სამშენებლო სამუშაოებს, ასევე, მიმართა სამუშაოების შესრულების ვადის 2022 წლის აგვისტოს ბოლომდე გაგრძელების შესახებ.

4.18. მიმწოდებელმა 2021 წლის 17 ივნისის № 2356/12 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭუბერში ასაშენებელი სკოლის პროექტმა განიცადა ცვლილება, 2021 წლის 20 მაისს ადგილზე გადამოწმებისას გაირკვა, რომ ასაშენებელი შენობა ხვდებოდა საბავშვო ბაღის შესასვლელ გზაზე და შემსყიდველ ორგანიზაციასთან შეთანხმებით საჭირო იყო ასაშენებელი შენობის გადაწევა 4 მეტრით. აღნიშნული დოკუმენტაციის მოწესრიგების მიზნით 2021 წლის 17 ივნისს ქვაბულის სამუშაოების დაწყებისას, სამშენებლო ობიექტზე მივიდნენ გამგებელი და მოსახლეობა, რომელთაც არ მისცეს სამუშაოების დაწყების საშუალება და განუცხადეს, რომ სკოლის უკან იყო მთა და არსებობდა ზვავის ჩამოწოლის საშიშროება. ამავე წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას სთხოვა შესაბამისი რეაგირების მოხდება.

4.19. მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2021 წლის 21 ივნისის № 1852-გ წერილით კვლავ ეთხოვა კალენდარული გეგმა-გრაფიკის წარდგენა და სამუშაოების ინტენსიურად წარმოება.

4.20. მიმწოდებელმა 2021 წლის 26 ივლისის № 2359/12 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭუბერსა და ყარსგურიშში ასაშენებელი სკოლების პროექტებმა რამდენჯერმე განიცადა ცვლილებები, შენობებმა შეიცვალა მდებარეობები გენგეგმაზე, რის გამოც საჭირო გახდა ახალი საინჟინრო, გეოლოგიური, საპროექტო, კონსტრუქციული და ტექნიკური დოკუმენტაციის შექმნა და წარუდგინა განახლებული გენგეგმები, შესაბამისი გეოლოგიური დასკვნა და კონსტრუქტორის განმარტება. ამავე წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას ეთხოვა წარდგენილი გენ-გეგმების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, ასევე, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას მიმართა სამუშაოების შესრულების ვადის 2022 წლის აგვისტოს ბოლომდე გაგრძელების შესახებ.

4.21. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2021 წლის 2 აგვისტოს № 2267-გ წერილით მიმწოდებელს, № 2354/12, № 2355/12 და № 2359/12 წერილების პასუხად, აცნობა, რომ წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე შეუძლებელი იყო საკითხის ინიცირება ხელშეკრულებების ცვლილებებისა და ვადამდე შეწყვეტის განმხილველი კომისიის სხდომაზე. ამავე წერილით ირკვევა, რომ ყარსგურიშში სამუშაოების ტემპი იყო ძალიან დაბალი, ხოლო ჭუბერში სამუშაოები ფაქტიურად არ დაწყებულა. ასევე, მიმწოდებელს წარდგენილი არ ჰქონდა წერილით სამუშაოების შესრულების განახლებული საბოლოო დეტალური კალენდარი და ფინანსური გრაფიკები და ავანსების ხარჯვის მიზნობრიობის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტები. ამავე წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს მოუწოდა ორივე ობიექტზე დაუყოვნებლივ დაეწყო ინტენსიური სამშენებლო სამუშაოები და გააფრთხილა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

4.22. საქმეში არსებულ სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ პროექტების მართვის დეპარტამენტის ინჟინერის 2021 წლის 6 დეკემბრის წერილებით დგინდება, რომ მიმწოდებელს იმ დროისთვის ჯერ კიდევ არ ჰქონდა წარდგენილი კალენდარული გეგმა-გრაფიკი.

4.23. მიმწოდებელმა 2022 წლის 15 იანვრის № 2365/12 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭუბერსა და ყარსგურიშში ასაშენებელი სკოლების პროექტებმა რამდენჯერმე განიცადა ცვლილებები (შენობებმა შეიცვალა მდებარეობები) და განახლებული გენგეგმები შემსყიდველი ორგანიზაციას წარუდგინა 2021 წლის 26 ივლისის № 2359/12 წერილით, რაზეც მხოლოდ სიტყვიერად მიიღო თანხმობა სამშენებლო სამუშაოების გაგრძელებაზე და 2022 წლის 2 აგვისტოს №2267-გ წერილი, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვდა სამშენებლო სამუშაოების ტემის გაზრდას. ამავე წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ სოფელ ჭუბერში ასაშენებელი სკოლის მდებარეობის ცვლილებამ გამოიწვია დამატებითი სამუშაოების აუცილებლობა, კერძოდ, უკანა მხარეს გაიჭრა დრენაჟი და მოსაწყობი იყო ჯებირი მრგვალი ქვით (გაბიონი), რათა უკანა მხრიდან შესულ გრუნტის წყლებს შენობა არ დაეზიანებინა. ასევე, მოსაწყობი იყო მოჭრილი ფერდის გასამაგრებლად რკინა-ბეტონის კედელი. წერილში მიმწოდებელი ასევე აღნიშნავს, რომ მას პასუხი არ მიუღია წერილზე, რომლითაც ითხოვდა სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელებას. მოცემული წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას ასევე მიმართა სამუშაოების შესრულების ვადის 2022 წლის დეკემბრის ბოლომდე გადაწევის თაობაზე და წარუდგინა სამუშაოების შესრულების კალენდარული გეგმა-გრაფიკები.

4.24. მიმწოდებლის 2022 წლის 31 იანვრის № 2367/12 წერილით ირკვევა, რომ მას შემსყიდველი ორგანიზაციისგან პასუხი არ ჰქონდა მიღებული 2022 წლის 15 იანვრის წერილზე.

4.25. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს, №2365/12 და №2367/12 წერილების პასუხად, აცნობა, რომ ფაქტობრივი მტკიცებულებებისა და უტყუარი არგუმენტების გარეშე წარდგენილი წერილის საფუძველზე შეუძლებელი იყო ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულებების მოქმედების ვადის გაგრძელება.

4.26. მიმწოდებელმა 2022 წლის 16 თებერვლის №2372/12 და 2022 წლის 25 თებერვლის №2374/12 წერილებით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ სამუშაოები დაიწყო 2020 წლის იანვრის ბოლოს, ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან, სამუშაოების შესრულების პროცესში მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭუბერსა და ყარსგურიშში ასაშენებელი სკოლების პროექტებმა რამდენჯერმე განიცადა ცვლილებები, სამუშაოების პროცესი დაემთხვა ზამთრის პერიოდს, რის გამოც 2020-2021 წლებში 5-5 თვით იყო სამუშაოები შეჩერებული, სამუშაოებს ასევე აფერხებდა კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით დაწესებული შეზღუდვები, ხოლო სკოლების პროექტების ცვლილებების შეთანხმებას დამატებით დასჭირდა დაახლოებით 3 თვე. ასევე, საწვავსა და სამშენებლო მასალებზე გაიზარდა ფასები, რამაც ასევე შეუშალა ხელი სამუშაოების შესრულებაში. მოცემული წერილებით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას ასევე აცნობა, რომ შესრულებული ჰქონდა სამუშაოების ნაწილი და მათ დასასრულებლად ესაჭიროებოდა 11 თვე და მიმართა სამუშაოების შესრულების ვადის 2022 წლის დეკემბრის ბოლომდე გაგრძელების შესახებ და წარუდგინა სამუშაოების შესრულების განახლებული კალენდარული და ფინანსური გრაფიკები.

4.27. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2022 წლის 20 მაისის №1392-გ წერილით მიმწოდებელს აცნობა, რომ მის მიერ წარდგენილი კალენდარული გეგმა-გრაფიკის საფუძველზე შეუძლებელი იყო ხელშეკრულებების მოქმედების ვადის გაგრძელება 2022 წლის 31 დეკემბრამდე. ამავე წერილის თანახმად, მიმწოდებელს სამუშაოები უნდა განეახლებინა 2022 წლის 1 მაისიდან, მაგრამ 2022 წლის 19 მაისს სამშენებლო ობიექტებზე სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ მშენებლობის ზედამხედველობის დეპარტამენტის ინჟინრების მიერ განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ სიტუაცია იყო უცვლელი და ორივე ობიექტზე სამუშაოები სრულად იყო შეჩერებული. მოცემული წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს მოუწოდა დაუყოვნებლივ დაეწყო ინტენსიური სამშენებლო სამუშაოები და გააფრთხილა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე.

4.28. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 9 ივნისის № 1560-გ წერილით ირკვევა, რომ მიმწოდებელი, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, გეგმა-გრაფიკის დარღვევით ასრულებდა სამუშაოებს და მოცემული დროისთვის შესრულებული ჰქონდა სამუშაოების მხოლოდ 3,5%. ამავე წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ ცალმხრივად შეწყვიტა 2020 წლის 20 იანვრის № GOG/ET/CW-226 და № GOG/ET/CW-225 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები.

4.29. 2021 წლის 26 ოქტომბრის გადახდის სერთიფიკატით ირკვევა, რომ მიმწოდებელს № GOG/ET/CW-226 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული აქვს 153 025,70 ლარის სამუშაოები, რაც ხელშეკრულების ღირებულების 7%-ს შეადგენს.

4.30. 2021 წლის 26 ოქტომბრის გადახდის სერთიფიკატით ირკვევა, რომ მიმწოდებელს № GOG/ET/CW-225 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული აქვს 151 642,47 ლარის სამუშაოები, რაც ხელშეკრულების ღირებულების 7%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ ამხანაგობა „ამქარი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში ირკვევა, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2020 წლის 20 იანვრის № GOG/ET/CW-226 და № GOG/ET/CW-225 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები. ამდენად, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინებები აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევების გათვალისწინებით, ამხანაგობა „ამქარი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. ამხანაგობა „ამქარი“ (ს/ნ: 205387286) 2022 წლის 27 სექტემბერს დარეგისტრირდეს შავ სიაში და მის შესახებ რეესტრში გაკეთდეს ორი სარეგისტრაციო ჩანაწერი.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე